ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **N –29**

ქ. წალენჯიხა **„**17**“ „**მაისი**“ 2019** წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ბესიკ ფარცვანიას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ზუგდიდექსპერტიზა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, შპს „ზუგდიდექსპერტიზა”-ს დირექტორის ზურაბ ბერულავას სახით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის N 675 განკარგულების შესაბამისად და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10[1] მუხლის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განხორციელდეს არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაექსპერტება) ხელშეკრულების პირობებზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა.

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის საგანია: საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის არსებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაექსპერტება.

1.2 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია 2019 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

1.3. შესყიდვის საშუალებაა - გამარტივებული ტენდერი, კლასიფიკაციის კოდი - 71300000.

2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშწორების წესი.

2.1. **შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი, ჯამური ღირებულება შეადგენს 7800 (შვიდიათასრვაასი) ლარს.**

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.3. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში შესრულებული სამუშაოს მიღების შემდეგ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4. მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მთლიანი ღირებულება.

2.5 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.7. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 2 ეგზემპლარად ნაბეჭდი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დაექსპერტებული საპროექტო - სახარღთაღრიცხვო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე, წარმოდგენილ მასალას თან უნდა დაერთოს მათი ელექტრონული ვერსიები, ტექსტური ნაწილი World და EXCEL ფაილების სახით.

2.8. საპროექტო - სახართჯაღრიცხვო დოკუმენტაციის დაექსპერტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო ნორმები, წესები და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები.

3. მომსახურების შესრულების პირობები, ვადა

3.1.ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი მომსახურება უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.
3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტში არსებული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
3.3. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან და ხოლო, დოკუმენტების წარმოდგენის საბოლოო ვადად განისაზღვროს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე. 2019 წლის 31 ივნისის ჩათვლით

4.მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესასრულებელი მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიღების აქტი) წარმოდგენის შემდეგ.
4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღების აქტი) წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.
4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, (შემსყიდველის მხრიდან - ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახური. მიმწოდებელის მხრიდან ორგანიზაციის ხელმძღვანელი),რომლებიც აფორმებენ მიღება–ჩაბარების აქტს.

5. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა მომსახურების დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა განახორციელოს საექსპერტო დასკვნების კორექტირება და რედაქტირება.

6.მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
6.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
6.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
6.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;
6.1.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ

6.2 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

6.2.2.. „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;
6.2.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან _ არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ აუნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს;

6.2.4. „მიმწოდებელის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
6.2.5. დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმება;
6.3. „მიმწოდებელი“ვალდებულია:
6.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით შეასრულოს სამუშაო;
6.3.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
6.3.3. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლისა და დეფექტის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია შესრულებული სამუშაოებიდან;
6.3.4. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
6.4 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
6.4.1. „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება;
7. უფლებების გადაცემა
7.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) .
8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
8.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შესრულების საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყონებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.
9.ხელშეკრულების შესრულების გარანტია
9.1. არ გამოიყენება
10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
10.2. საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებით წარმოდგენილი და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული დადასტურებული სამუშაოების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%–ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა
11.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
11.3. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს საბოლოო შესრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა;
ე) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
ვ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12 .ფორს-მაჟორი
12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (სტიქიური უბედურება, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი, საომარი მოქმედებები და საზოგადოებრივი არეულობა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის გამოყოფილ

ტერიტორიაზე, საქონლის მიწოდება ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, ცვლილებები კანონმდებლობაში და სხვა) ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობისა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გატვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

13. დავების გადაწვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარესდავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;
13.3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს;
13.4. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
13.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 5 ხუთი დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

15.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16. შეტყობინება

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. დასკვნითი დებულებანი

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

18.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებით, ხელშეკრულების დანართის გაფორმების შედეგად.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„ შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი “	„ მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი “
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია.	შპს ,, ზუგდიდექსპერტიზა“
ს/კ 242739248	ს/კ 220002128
მის. ქ. წალენჯიხა სალიას ქ. N5	მის: ქ. ზუგდიდი.რუსთაველის ქ.93
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი“ ბ/კ: LBRTGE22 GE65LB0113141529247000.
ტ. 599 70 11 44	ტ. 555 14 11 12
მუნიციპალიტეტის მერის მ/შ ცოტნე შონია	დირექტორი ზურაბ ბერულავა

Zurab Berulava
Подписано цифровой подписью: Zurab Berulava
Дата: 2019.05.21 15:35:44 +04'00'

Tsotne Shonia
Digitally signed by Tsotne Shonia
Date: 2019.05.21 15:57:04 +04'00'